GÜRTİAD

EKONOMİ BÜLTENİ

ეკონომიკური გამოცემა

Ocak /იანვარი 2026

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 704.5	9 241.5	9.7%	13.9 %	4.8 %

Değerli Üyelerimiz,

Kıymetli İş İnsanları ve Dostlarımız,

Geride bıraktığımız yıl boyunca Gürcistan ile Türkiye arasındaki ekonomik, ticari ve kültürel ilişkilerin güçlenmesine katkı sunmak için büyük bir özveriyle çalıştık. Ortak anlayış, dayanışma ve karşılıklı güven temelinde attığımız her adımın, iş dünyamızın bölgedeki etkinliğini ve saygınlığını daha da artırdığına inanıyoruz.

Yeni yılın; üyelerimize, ailelerinize ve tüm iş dünyamıza sağlık, huzur, bereket ve yeni fırsatlar getirmesini temenni ediyoruz. 2026 yılının, sürdürülebilir iş birliklerinin güçlendiği, yatırımların arttığı ve ortak başarı hikâyelerinin çoğaldığı bir yıl olmasını diliyoruz.

Bu vesileyle, Gürcistan Türk İş İnsanları Derneği Yönetim Kurulu adına, bizlere güvenen ve çalışmalarımıza katkı sunan tüm üyelerimize ve bizlere desteklerini esirgemeyen herkese tüm samimiyetimizle teşekkürlerimizi sunuyor; yeni yılınızı en içten dileklerimizle kutluyoruz.

En derin saygılarımızla,

Gürcistan Türk İş İnsanları Derneği Yönetim Kurulu

ARKAS GEORGIA LLC · ANKARA CATERING · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless

ძვირფასო წევრებო და მეგობრებო,

გასული წლის განმავლობაში, საქართველო-თურქეთის ეკონომიკური, სავაჭრო და კულტურული ურთიერთობების გაღრმავებაში ჩვენი მოკრძალებული წვლილის შესატანად კვლავაც უშურველ ძალისხმევას ვწევდით. გვწამს, რომ ჩვენი ყოველი ნაბიჯი, რომელიც საერთო ხედვის, ურთიერთსოლიდარობისა და ორმხრივი ნდობის პრინციპს ემყარებოდა, დადებითად აისახა რეგიონში ჩვენი ბიზნეს წრეების ზოგად იმიჯსა და საქმიანობაზე.

გვსურს, დამდეგ ახალ წელს, თქვენ- ჩვენს ძვირფას წევრებს, თქვენს ოჯახებსა და სრულიად ბიზნეს სექტორს ვუსურვოთ ჯანმრთელობა, სულიერი სიმშვიდე, ხვავი და ულევი ახალი შესაძლებლობა.

დაე, 2026 წელი ყოფილიყოს ურთიერთთანამშრომლობის მასშტაბების განვითარების, წარმატებული ინვესტიციებისა და ბიზნეს საქმიანობის წელიწადი.

გვსურს, ვისარგებლოთ შემთხვევით, საქართველოში თურქ ბიზნესმენთა ასოციაციის მმართველთა საბჭოს სახელით, გულწრფელი მადლიერება გამოვხატოთ თითოეული ჩვენი წევრისა და მხარდამჭერისადმი, ჩვენდამი გამოხატული ნდობისა და მუდმივი თანადგომისთვის და კიდევ ერთხელ, გისურვოთ ბედნიერი ახალი 2026 წელი.

საუკეთესო სურვილებითა და ღრმა პატივისცემით,

საქართველოში თურქ ბიზნესმენთა ასოციაციის მმართველთა საბჭო

ARKAS GEORGIA LLC
ANKARA CATERING The Word Food
EFES GEORGIA
K 777
LC WAIKIKI
იშბანკი İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
Wasteless Specific waste management

GÜRTİAD Geleneksel Yılbaşı Gecesi Çoşkuyla Kutlandı

გურთიადის ტრადიციული საახალწლო საღამოს საზეიმო ვითარებაში ჩატარდა

Tiflis Büyükelçiliği Mensupları, Türkiye'nin çeşitli belediye başkanlarıyla milletvekilleri, Gürcistan'daki Türk ve Gürcü İş Camiası temsilecileriyle farklı çevrelerden davetli kıymetli misafirlerimizin katılım sağladıkları GÜRTİAD Geleneksel Yılbaşı Gecesi bir kez daha büyük bir coşkuyla kutlandı.

Muhteşem sahne performanslarıyla geceye damga vuran popüler müzisyenler Ferda Anıl Yarkın ve Ozan Orhon'un yanı sıra, Bağlama Sanatçısı Serdar Armağan, Gürcü Halk Dansları Ekibi ,,Lampari''' ve Oryantal Şov etkinliğe ayrı bir renk katmıştır.

Bu fırsattan yararlanarak, teşrifleriyle bizleri onurlandıran tüm davetlilere en kalbi duygularımızla teşekkürler eder, mutlu, sağlıklı, huzurlu ve başarı dolu yeni 2026 yılı dileriz.

გურთიადის ტრადიციული საახალწლო საღამო, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენლები, ასევე, თურქეთის სხვადასხვა ქალაქის მერები და პარლამენტის წევრები, ქართული და საქართველოში მცხოვრები თურქული ბიზნეს წრეების წარმომადგენლები და საპატიო სტუმრები, კიდევ ერთხელ, საზეიმო ვითარებაში ჩატარდა.

ღონისძიებაზე, მსმენელებს, ბრწყინვალე მუსიკალური პერფორმანსი შესთავაზეს თურქული პოპ-მუსიკის ვარსკვლავებმა, ფერდა ანილ იარქინმა და ოზან ორჰონმა. საღამოს, ასევე, განსაკუთრებული ხიბლი შეჰმატა თურქული ტრადიციული საკრავის, ბაღლამას ოსტატის, სერდარ არმაღანის ოსტატურმა შესრულებამ, აგრეთვე, ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლ „ლამპარისა" და აღმოსავლური ცეკვების წარმოდგენამ. გვსურს, ვისარგებლოთ შემთხვევით, გულითადი მადლიერება გამოვხატოთ თითოეული საპატიო სტუმრისადმი და ვუსურვოთ მათ ბედნიერი, წარმატებული და მშვიდობიანი 2026 წელი!

ARKAS GEORGIA LLC · ANKARA CATERING The Word Food · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless

Gürcistan Türk İş İnsanları Derneği (GÜRTİAD) Yönetim Kurulu Başkanı Sayın Oktay Öztürk ve Yönetim Kurulu T.C. Tiflis Büyükelçisi Sn. Ali Kaan Orbay ile bir araya geldi. Geçtiğimiz yılın muhasebesini yapılan görüşmede, 2026 yılında gerçekleştirmeyi öngörülen faaliyetler de ele alındı.

საქართველოში თურქ ბიზნესმენთა ასოციაციის (GÜRTİAD) თავმჯდომარემ, ოქტაი ოზთურქმა, მმართველთა საბჭოს წევრებთან ერთად, შეხვედრა გამართა საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, ალი ქაან ორბაისთან. შეხვედრაზე, მხარეებმა, შეაჯამეს გასული წლის მიღწევები და განიხილეს 2026 წლის გეგმები.

GÜRTİAD Başkanı Sn. Oktay Öztürk, T.C. Tiflis Büyükelçiliği Eğitim Müşaviri Sn. Mahmut Ağırman ve Din Hizmetleri Müşaviri Sn. Mahmut Göl ile bir araya geldi.

Toplantıda olası iş birliklerine yönelik temaslarda bulunuldu.

GÜRTİAD olarak, kıymetli misafirlerimize mesleki faaliyetlerinde başarılar dileriz.

გურთიადის თავმჯდომარემ, ოქტაი ოზთურქმა შეხვედრა გამართა საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს განათლების ატაშესთან, მაჰმუთ აღირმანთან და რელიგიურ საქმეთა ატაშესთან, მაჰმუთ გოლთან.

შეხვედრაზე, განხილულ იქნა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.

ასოციაციის სახელით, წარმატებებს ვუსურვებთ პატივცემულ ატაშეებს, პროფესიულ საქმიანობაში.

ARKAS GEORGIA LLC
ANKARA CATERING The Word Food
EFES GEORGIA
K 777
LC WAIKIKI
იშბანკი İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
Wasteless Specific waste management

1 Ocak 2026 Tarihinden İtibaren Gürcistan'da Yürürlüğe Girecek Değişiklikler:

ცვლილებები, რომლებიც ძალაში 2026 წლის 1 იანვრიდან შევა:

- Turizm hakkında Gürcistan Kanunu'nda yapılan değişikliklere istinaden (https://matsne.gov.ge/ka/document/view/6728816?publication=0), Gürcistan'a umuma mahsus pasaportla veya kimlik kartıyla seyahat edecek yabancı uyruklu turistlerin zorunlu seyahat (sağlık ve kaza) sigortası yaptırmaları gerekmektedir;
- Turistlerin; Gürcistan'da bulunan veya yabancı bir sigorta şirketi tarafından düzenlenebilecek, Gürcistan'daki kalış süresinin tamamını (hem giriş hem çıkış tarihlerini) kapsayan ve en az 30.000 Gürcistan Larisi teminat tutarına sahip sigorta poliçesinin fiziksel veya elektronik formatta İngilizce veya Gürcüce ibraz edilmesi talep edilmektedir.
- Gürcistan'a diplomatik, hizmet veya hususi pasaportla seyahat edecek vatandaşlar sözkonusu seyahat sigortası zorunluluğundan muaftır.
- Gürcistan'da kalış süresi geçen yabancılara artık para cezası değil, doğrudan deport veya hapis uygulanacak, polis yabancıların evlerinde genişletilmiş arama yetkisine sahip olacaktır;
- Devlete veya bankaya borcu olan yabancılar ülkeyi terk edemeyecek, sınır kapılarında borç kontrolü yapılacaktır.

- „ტურიზმის შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად (https://matsne.gov.ge/ka/document/view/6728816?publication=0), საქართველოში შემოსული უცხოელი ტურისტებისათვის ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევების დაზღვევა სავალდებულო ხდება;
- ტურისტი ვალდებულია, საქართველოში შემოსვლისას იქონიოს პოლისი, რომელიც გაცემულია საქართველოს ან უცხოეთის სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ. სადაზღვევო თანხა უნდა შეადგენდეს, სულ მცირე, 30 000 ლარს. პოლისი შესაძლებელია, წარმოდგენილ იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით, ქართულ ან ინგლისურ ენაზე;
- აღნიშნული წესი არ მოქმედებს დიპლომატიური, ოფიციალური, სამსახურებრივი ან სპეციალური პასპორტის მფლობელ პირებზე;
- ტურისტი ვალდებულია საქართველოში შემოსვლიდან მისი დაყოვნების სრულ პერიოდზე დაზღვეული ჰქონდეს ჯანმრთელობა და უბედური შემთხვევა.
- უცხოელები, რომლებიც საქართველოში დაყოვნების წესებს დაარღვევენ, ფულადი ჯარიმის მიღების ნაცვლად, დაექვემდებარებიან დეპორტაციას ან მათ წინააღმდეგ აღძრული იქნება სასამართლო პროცესი
- უცხოელები, რომელთაც აღენიშნებათ დავალიანება სახელმწიფოს ან ბანკის მიმართ, ქვეყანას ვერ დატოვებენ. დავალიანებები გაკონტროლდება საზღვარზე.

ARKAS GEORGIA LLC · ANKARA CATERING The Word Food · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless Specific waste management

"İşgücü Göçü Hakkında" Kanun Sıkılaştırılıyor

„შრომითი მიგრაციის შესახებ" კანონი მკაცრდება

Gürcistan Hükümeti, yasadışı işgücü göçüyle mücadele amacıyla "İşgücü Göçü Hakkında" Kanun'da kapsamlı değişiklikler getiriyor. Yeni düzenlemeler kapsamında, yabancıların istihdamı için özel çalışma izninin verilmesine yönelik bir mekanizma geliştirilecek; yasa ihlallerine yönelik yaptırımlar ise hem işverenler hem de göçmenler için önemli ölçüde artırılacak.



Kanun tasarısının gerekçeli açıklamasında, mevcut yasal çerçeve uyarınca yabancı uyruklu bir kişinin Gürcistan'da çalıştırılabilmesi için yalnızca işveren tarafından ilgili kişinin işgücü göçü özel elektronik sistemine kaydedilmesinin yeterli olduğu belirtilmektedir. Mevzuatın, devletin işgücü piyasasının ihtiyaçları doğrultusunda yabancı bir kişinin ülkede istihdam edilmesini reddetmesine imkan tanıyacak bir düzenleme içermediği vurgulanmaktadır.

Yapılan açıklamaya göre, bu eksiklik, niteliksiz veya fazla sayıda işgücünün ülkeye girişine yol açarak hem yerel işgücü hem de işgücü piyasasının genel dengesi üzerinde olumsuz etki yaratmaktadır.

Vizesiz seyahat kapsamında ülkeye giriş yapan ve işgücü göçü elektronik sistemine kaydolmalarına rağmen, yabancıların işgücü faaliyetine başlama veya işgücü oturum izni alma yükümlülükleri bulunmamaktadır.

Belgede sunulan Ulusal İstatistik Dairesinin verilerine göre, 2022–2023 yıllarında sınır geçiş kayıtlarına dayanarak en az 6 ay + 1 gün Gürcistan'da kalan 239.334 yabancı uyruklu kişi tespit edilmiştir. Ekonomik istikrar ve istihdam arayışı, göçün temel itici güçlerini oluşturmaktadır. Bu nedenle, ülkede kalan yabancıların önemli bir bölümünün ekonomik göçmen olduğu

ARKAS GEORGIA LLC · ANKARA CATERING The Word Food · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless Specific waste management

değerlendirilmektedir. Buna karşın, Ekonomi Bakanlığı sistemine kayıtlı işgücü göçmeni sayısı yalnızca 42,000 kişidir.

Bu uyumsuzluk, ülkedeki işgücü göçünün kayıt ve izleme süreçlerinin yetersiz olduğunu, mevcut verilerin fiilen piyasada çalışan yabancı işgücünü tam olarak yansıtmadığını ortaya koymaktadır. Dolayısıyla, hedefe yönelik istihdam politikalarının oluşturulması, işgücü haklarının korunması ve piyasanın gerçek durumunun analiz edilmesi güçleşmektedir.

Yeni düzenlemeler kapsamında öngörülen başlıca değişiklikler şunlardır:

• Yabancıların istihdamı için özel çalışma izni verilmesine yönelik mekanizma oluşturulacaktır;

• Özel çalışma izni verilmesine ilişkin kriterler belirlenecektir;

• Yabancıların Gürcistan'daki işgücü ve ticari faaliyetleri, klasik istihdam biçimleri dışında kalan durumlar dahil olmak üzere düzenlenecektir;

• Mevzuatta belirlenen kuralların uygulanması için yeni denetim mekanizmaları oluşturulacak ve sorumlu kurumlar belirlenecektir;

• Özel çalışma izni olmadan yabancı istihdam eden işverenler için para cezaları artırılacaktır;

• Özel çalışma izni olmadan işgücü veya ticari faaliyet yürüten yabancı uyruklu kişilere idari para cezası uygulanacaktır;

• İşgücü göçü süreçlerinin yönetimi için ilgili kamu kurumlarının görev ve yetkileri netleştirilecektir;

Kanunun 1 Mart 2026 tarihinde yürürlüğe girmesi öngörülmektedir.

Bu tarihte işgücü göçmeni olarak aktif kaydı bulunan kişilerin, en geç 1 Ocak 2027 tarihine kadar özel çalışma izni ve ilgili oturum izni kategorisini edinmeleri zorunlu olacaktır. Düzenlemelerin geriye dönük uygulanması öngörülmemektedir.

Para cezalarına ilişkin düzenlemeler aşağıdaki gibidir:

• Özel çalışma izni olmadan bir yabancıyı istihdam eden işverenlere, her bir yabancı için 2,000 Gürcistan Larisi idari para cezası uygulanacaktır;

• Özel çalışma izni olmadan çalışan yabancı işgücü göçmenleri de 2,000 Gürcistan Larisi para cezasına tabi tutulacaktır;

• Özel çalışma izni olmadan çalışan serbest meslek sahibi yabancılar için ceza 2,000 Gürcistan Larisi olarak belirlenmiştir;

• Tekrar eden ihlallerde para cezası iki katına çıkarılacaktır.

Yasa tasarısı uyarınca, temel öncelik yerel işgücü kaynaklarının korunmasıdır. İşgücü arzının yüksek olduğu alanlarda öncelik yerel çalışanlara verilecek, yabancıların istihdamı ise ilgili düzenlemelerle sınırlandırılacaktır. Böylece, yerel işgücünün istihdam fırsatlarının daralmasının önüne geçilmesi hedeflenmektedir.

Buna karşılık, işgücü açığı bulunan sektörlerde devlet, belirli koşullar altında yabancı işgücünün seçici ve geçici olarak istihdam edilmesine izin verecektir. Bu tür pozisyonlar için, yerel işgücü bulunmadığının resmi olarak teyit edilmesi gerekecektir. Orta ve uzun vadede ise işgücü talebinin yerel kaynaklardan karşılanması amacıyla, yerel çalışanların yeniden eğitimi ve niteliklerinin artırılmasına yönelik politikalar uygulanacaktır. Bu yaklaşım, yerel işgücünün ekonomiye daha güçlü şekilde entegre olmasını sağlayarak ülkenin ekonomik potansiyelinin tam kapasiteyle kullanılmasına katkıda bulunacaktır.

უკანონო შრომით მიგრაციასთან ბრძოლის მიზნით, საქართველოს მთავრობა „შრომითი მიგრაციის შესახებ“ კანონს ამკაცრებს.

კანონპროექტის თანახმად, შემუშავდება და დაინერგება უცხოელის დასაქმებისთვის სპეციალური სამუშაო უფლების გაცემის მექანიზმი. ამასთან, დამრღვევი მიგრანტებისთვის ჯარიმა შემოდის, ხოლო დამსაქმებლებისთვის - იზრდება.

კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, მოქმედი კანონმდებლობით: საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქის დასაქმებისთვის სავალდებულოა მხოლოდ მისი შრომითი მიგრაციის სპეციალურ ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია (რომელსაც ახორციელებს ამ უცხოელის დამსაქმებელი). ამავდროულად, კანონმდებლობა არ ადგენს მექანიზმებს, რომლითაც შრომის ბაზრის ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს საშუალებას მისცემდა უარი ეთქვა უცხოელისთვის საქართველოში დასაქმებაზე.

"აღნიშნული კი, თავის მხრივ, ხშირ შემთხვევაში განაპირობებს საქართველოში არაკვალიფიციური ან ჭარბი ოდენობის მუშახელის შემოსვლას, რაც საბოლოო ჯამში ნეგატიურად აისახება როგორც ადგილობრივ სამუშაო ძალაზე, ასევე შრომის ბაზრის ინტერესებზეც.

ასევე, უვიზო მიმოსვლის ფარგლებში შემოსული უცხოელების მიმართ, რომლებიც საქმდებიან საქართველოში და რეგისტრირდებიან შრომითი მიგრაციის სპეციალურ

ARKAS GEORGIA LLC ANKARA CATERING The Word Food EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless Specific waste management

ელექტრონულსისტემაში, კანონმდებლობა არ ადგენს შრომითი იმიგრანტის მიერ საქართველოში შრომითი საქმიანობის უფლებისა და შრომითი ბინადრობის ნებართვის მოპოვების ვალდებულებას",- წერია დოკუმენტში.

დოკუმენტში მოყვანილია სტატისტიკაც, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ 2022-2023 წლებში, საზღვრის კვეთის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში შემოვიდა 239 334 უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც დარჩა მინიმუმ 6 თვეს + 1 დღე (მეთოდი, რითაც საქსტატი თვლის იმიგრანტებს). მიგრაციის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა არის დასაქმება და ეკონომიკური სტაბილურობის ძიება. შესაბამისად, მაღალი ალბათობით, ქვეყანაში დარჩენილი უცხო ქვეყნის მოქალაქეების მნიშვნელოვანი ნაწილი ეკონომიკური მიგრანტია. თუმცა, შრომის ბაზარზე სამინისტროს სისტემაში არსებული სტატისტიკის მიხედვით მხოლოდ 42 000 შრომითი იმიგრანტია რეგისტრირებული.

"ეს შეუსაბამობა მკაფიოდ მიუთითებს, რომ ქვეყანაში შრომითი იმიგრაციის აღრიცხვა და მონიტორინგი სრულყოფილი არ არის და არსებითად ვერ ასახავს იმ სამუშაო ძალას, რომელიც რეალურად ოპერირებს ქართულ შრომის ბაზარზე. შედეგად, რთულდება მიზნობრივი პოლიტიკის დაგეგმვა, შრომითი უფლებების დაცვა და ბაზრის რეალური სურათის ანალიზი",- აღნიშნულია დოკუმენტში.

წარმოდგენილი ცვლილების თანახმად:

შემუშავდება და დაინერგება უცხოელის დასაქმებისთვის სპეციალური სამუშაო უფლების გაცემის მექანიზმი;

შემუშავდება აღნიშნული სამუშაო უფლების გაცემის კრიტერიუმები;

დარეგულირდება საქართველოში უცხოელი ფიზიკური პირების შრომითი/სამეწარმეო საქმიანობა (ისეთი შემთხვევები, როდესაც არ გვაქვს კლასიკური დასაქმება);

შემუშავდება კანონმდებლობით დადგენილი ნორმების აღსრულების ახალი მექანიზმები;

და განისაზღვრება მათი აღმასრულებელი უწყებები;

გაიზრდება საჯარიმო სანქცია იმ დამსაქმებლებთან მიმართებით, ვინც უცხოელს დაასაქმებს სპეციალური სამუშაო უფლების მოპოვების გარეშე;

დაწესდება საჯარიმო სანქცია თითოეული შრომითი მიგრანტისთვის, რომელიც საქართველოში სპეციალური სამუშაო უფლების გარეშე ეწევა შრომით/სამეწარმეო საქმიანობას;

საქართველოში შრომითი მიგრაციის პროცესების სრულყოფილად დარეგულირდება და მართვის მიზნით განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო უწყებების ვალდებულებები და ფუნქციები.

გათვალისწინებულია კანონის 2026 წლის 1 მარტს ამოქმედება. ამასთან, რეგისტრირებულმა იმ შრომითმა იმიგრანტებმა, რომლებსაც ამ კანონის ამოქმედების მომენტში რეგისტრაციის სტატუსი აქვთ აქტიური, არაუგვიანეს 2027 წლის 1 იანვრისა, უნდა მოიპოვონ სპეციალური სამუშაო უფლება და შესაბამისი კატეგორიის ბინადრობის ნებართვა. ამავდროულად, არ არის გათვალისწინებული კანონისთვის უკუძალის მინიჭება.

რაც შეეხება ჯარიმებს:

ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი იმიგრანტის მიერ შრომითი საქმიანობის უფლების გარეშე საქმიანობა ადგილობრივი დამსაქმებლისთვის (თითოეულ შრომით იმიგრანტზე ინდივიდუალურად) - გამოიწვევს დაჯარიმებას 2,000 ლარის ოდენობით;

ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი იმიგრანტის მიერ შრომითი საქმიანობის უფლების გარეშე შრომითი საქმიანობა შრომითი იმიგრანტისთვის - გამოიწვევს დაჯარიმებას 2,000 ლარის ოდენობით;

თვითდასაქმებული უცხოელის მიერ შრომითი საქმიანობის უფლების გარეშე შრომითი საქმიანობა - გამოიწვევს თვითდასაქმებული უცხოელის დაჯარიმებას 2,000 ლარის ოდენობით.

განმეორებით დარღვევებზე კი ორმაგი თანხით ჯარიმაა განსაზღვრული.

კანონპროექტის მიხედვით, მთავარ პრიორიტეტად განისაზღვრება შიდა შრომითი რესურსების დაცვა.

„იმ ეკონომიკურ სექტორებში, სადაც დაფიქსირდება სამუშაო ძალის ჭარბი მიწოდება, უპირატესობა მიენიჭება ადგილობრივი სამუშაო ძალის დასაქმებას, ხოლო უცხოელი მოქალაქეების დასაქმება შესაბამისი რეგულაციების ფარგლებში შეიზღუდება, რათა არ მოხდეს ადგილობრივი დასაქმებულების შესაძლებლობების შეზღუდვა.

მეორე მხრივ, იმ სექტორებში, სადაც გამოიკვეთება კადრების დეფიციტი, სახელმწიფოს მიდგომა იქნება შრომითი იმიგრანტების შერჩევითი და დროებითი დასაქმება - განსაზღვრული პერიოდისთვის და ზედამხედველობის პირობებში. უცხოელ სამუშაო ძალას მიეცემა დასაქმების უფლება მხოლოდ იმ პირობებში, როდესაც დადასტურდება, რომ შესაბამისი პოზიციებისთვის ადგილობრივი კადრები არ არის ხელმისაწვდომი. პარალელურად, განხორციელდება ადგილობრივი სამუშაო ძალის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, რათა გრძელვადიან პერსპექტივაში სამუშაო ძალაზე მოთხოვნა მაქსიმალურად შიდა რესურსებით

ARKAS GEORGIA LLC
ANKARA CATERING The Word Food
EFES GEORGIA
K 777
LC WAIKIKI
İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
Wasteless Specific waste management

დაკმაყოფილდეს. შედეგად მოხდება ადგილობრივი სამუშაო ძალის უფრო მეტად ინტეგრაცია ეკონომიკურ საქმიანობაში, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის სრულ რეალიზებას“,- აღნიშნულია განმარტებით ბარათში.

1 Ocak 2026'dan itibaren Gürcistan'da Gıda ile Temas Eden Belirli Plastik Ürünlerin Kullanımı Yasaklanacaktır

2026 წლის 1-ელი იანვრიდან საქართველოში სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის გარკვეული საგნების მოხმარება იკრძალება

Gürcistan'da 1 Ocak 2026'dan itibaren gıda ile temas amaçlı belirli plastik ürünlerin kullanımı yasaklanıyor. İlgili açıklama, Gürcistan Çevre Koruma ve Tarım Bakanlığı tarafından yapıldı.

Bakanlığın yayınladığı bilgilendirmede, söz konusu düzenlemenin, ambalajlı gıdalar için kullanılan tek kullanımlık plastik paketleme ürünlerini kapsamadığı, ancak plastikten üretilen çatal, bıçak, kaşık, karıştırıcı çubuklar, tabaklar, pipetler ve içecek karıştırıcıların yasaya göre kullanımdan kaldırılacağı ifade edildi.

Açıklamada, Çevre Koruma ve Tarım Bakanlığı'nın girişimiyle Gürcistan Hükümeti'nin, "Gıda ile Temas Amacıyla Kullanılan Plastik Malzeme ve Ürünlere İlişkin Onay Hakkında" 8 Haziran 2022 tarihli 304 No'lu kararında değişiklik yaptığı belirtildi.

1 Ocak 2026 tarihinde yürürlüğe girecek değişiklikle, gıda ile temas amacıyla kullanılan belirli plastik ürünlerin tüketimi yasaklanıyor.

Bu kapsamda, plastikten üretilen çatal, bıçak, kaşık, karıştırıcı çubuklar, tabaklar, pipetler, içecek karıştırıcılar, genişletilmiş polistirenden (EPS) üretilmiş gıda kapları ve kapakları ile yine EPS'den üretilmiş bardaklar ve kapaklarının üretimi (ihracat amaçlı üretim hariç), ithalatı ve piyasaya arzı yasaklanıyor.

Ayrıca, yiyecek-içecek işletmeleri için tek kullanımlık plastik gıda kapları ve bardaklarda hazır gıda sunulması yasaklanacak.

ARKAS GEORGIA LLC ANKARA CATERING The Word Food EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless Specific waste management

Düzenlemenin, ambalajlı gıdalar için kullanılan tek kullanımlık plastik paketleme ürünlerini kapsamadığı özellikle vurgulanıyor.

Karar, belirli bir geçiş süreci de öngörmektedir.

Düzenleme yürürlüğe girmeden önce piyasaya arz edilmiş olan plastik çatal, bıçak, kaşık, karıştırıcı çubuklar, tabaklar, pipetler, içecek karıştırıcılar, EPS gıda kapları ve kapakları ile EPS bardaklar ve kapaklarının, kararın yürürlüğe girdiği tarihten itibaren üç ay süreyle piyasada bulunmasına izin verilecek.

Yine, tek kullanımlık plastik gıda kapları ve bardaklar aracılığıyla hazır gıda sunumu, düzenlemenin yürürlüğe girdiği 1 Ocak 2026 tarihinden itibaren altı ay boyunca yapılabilecek.

Teknik düzenlemeye getirilen değişikliklere ilişkin denetim, yetki alanlarına göre Ulusal Gıda Ajansı, Çevresel Gözetim Departmanı ve Gürcistan Maliye Bakanlığı Gelirler Servisi tarafından gerçekleştirilecek.

Açıklamada ayrıca, söz konusu plastik ürünlerin ihracat amacıyla üretilmesinin yasak kapsamında olmadığına dikkat çekiliyor. Gıda ile temas amacıyla kullanılan plastik ürünleri ihracat için üreten kurumların, üretime başlamadan bir ay önce Gürcistan Çevre Koruma ve Tarım Bakanlığı'na bağlı Çevresel Gözetim Departmanı'na yazılı olarak üretime başlama ve tamamlama tarihlerini, üretilecek ürün miktarını, ihracat yapılacak ülkeleri ve ihracat takvimini bildirme yükümlülüğü bulunuyor.

2026 წლის 1-ელი იანვრიდან საქართველოში სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის გარკვეული საგნების მოხმარება იკრძალება. ამის შესახებ ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

როგორც გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, რეგულაცია არ ეხება პლასტმასისგან დამზადებულ ერთჯერადი გამოყენების შესაფუთ ნაკეთობებს (საგნებს), რომლებიც განკუთვნილია დაფასოებული სურსათისათვის, ხოლო პლასტმასისაგან დამზადებული ჩანგლები, დანები, კოვზები, ჩხირები, თეფშები, საწრუპები და სასმლის მოსარევები, კანონის გათვალისწინებით, ხმარებიდან იქნება ამოღებული.

„გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, საქართველოს მთავრობამ „სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) შესახებ დამტკიცების თაობაზე“ 2022 წლის 8 ივნისის N 304 დადგენილებაში ცვლილებები შეიტანა.

ARKAS GEORGIA LLC
ANKARA CATERING The Word Food
EFES GEORGIA
K 777
LC WAIKIKI
İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
Wasteless Specific waste management

ცვლილება, რომელიც ძალაში 2026 წლის 1 იანვრიდან შევა, ითვალისწინებს სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის გარკვეული საგნების მოხმარების აკრძალვას.

იკრძალება პლასტმასისაგან დამზადებული ჩანგლების, დანების, კოვზების, ჩხირების, თეფშების, საწრუპების, სასმლის მოსარევების, გაფართოებული პოლისტიროლისგან (EPS) დამზადებული სასურსათო კონტეინერების და მათი თავსახურების, გაფართოებული პოლისტიროლისგან (EPS) დამზადებული ჭიქების და მათი თავსახურების წარმოება (გარდა ექსპორტის მიზნით წარმოებისა), იმპორტი და ბაზარზე განთავსება.

ასევე, იკრძალება პლასტმასისგან დამზადებული ერთჯერადი სასურსათო კონტეინერების და ჭიქების საშუალებით საზოგადოებრივი კვების ობიექტების მიერ მომხმარებლისთვის მზა სურსათის მიწოდება.

აღსანიშნავია, რომ რეგულაცია არ ეხება პლასტმასისგან დამზადებულ ერთჯერადი გამოყენების შესაფუთ ნაკეთობებს (საგნებს), რომლებიც განკუთვნილია დაფასოებული სურსათისათვის.

დადგენილება გარკვეულ გარდამავალ პერიოდს ითვალისწინებს.

პლასტმასისაგან დამზადებული ჩანგლების, დანების, კოვზების, ჩხირების, თეფშების, საწრუპების, სასმლის მოსარევების, გაფართოებული პოლისტიროლისგან (EPS) დამზადებული სასურსათო კონტეინერების და მათი თავსახურების, გაფართოებული პოლისტიროლისგან (EPS) დამზადებული ჭიქების და მათი თავსახურების რომლებიც განთავსებულია ბაზარზე ამ დადგენილების ამოქმედებამდე, დასაშვებია ბაზარზე განთავსებული იყოს დადგენილების ამოქმედებიდან სამი თვის განმავლობაში.

ასევე, პლასტმასისგან დამზადებული ერთჯერადი სასურსათო კონტეინერების და ჭიქების საშუალებით საზოგადოებრივი კვების ობიექტების მიერ მომხმარებლისთვის მზა სურსათის მიწოდება შესაძლებელია დადგენილების ამოქმედებიდან (2026 წლის 1 იანვრიდან) ექვსი თვის განმავლობაში.

კონტროლს ტექნიკური რეგლამენტის ცვლილებების შესრულებაზე, კომპეტენციის ფარგლებში, სურსათის ეროვნული სააგენტო, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური.

ARKAS GEORGIA LLC
ANKARA CATERING The Word Food
EFES GEORGIA
K 777
LC WAIKIKI
İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
Wasteless Specific waste management

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არ იკრძალება პლასტმასის ზემოთ ჩამოთვლილი საგნების წარმოება ექსპორტის მიზნით. მწარმოებელი, რომელიც სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის საგნებს ამზადებს ექსპორტის მიზნით, ვალდებულია, წარმოების დაწყებამდე ერთი თვით ადრე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებას – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს წერილობით აცნობოს როგორც წარმოების დაწყების, ასევე, დამთავრების ვადების, დასამზადებელი ნაკეთობების (საგნები) რაოდენობის, საექსპორტო ქვეყნებისა და ექსპორტის განხორციელების ვადების შესახებ“, - ნათქვამია ინფორმაციაში.